# 13 ᲓᲦᲔ ᲘᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔᲑᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ




ამ დღეს 4 წელი ელოდნენ ზამთრის სპორტულ სახეობათა მოყვარულები. და აი, დადგა 6 თებერვალი, ზამთრის X ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ჟამი.

ოლიმპიურმა გრენობლმა წვიმიან ამინდსა და თოვლცვენაში გამოიღვიძა. დილიდანვე ამინდი ნამდვილად არ იყო ოლიმპიური და საზეიმო, მაგრამ თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათის წინ იხევ გამოიდარა, მზე გამოჩნდა და კიდევ უფრო გაანათა ისედაც ბრწყინვალე და მოელვარე ალპების დედაქალაქი. ზეიმის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ ოლიმპიური სტადიონი უკვე აევსოთ მაყურებლებს.

18 საათია. სტადიონზე შემოდის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, რომელიც საპატიო სტუმრებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი და სხვა ოფიციალური პირი, ადგილს იკავებს მთავრობის ლოჟაში.

აჟღერდა საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი „მარსელიოზა", რომელიც ფანფარების კაპელის ხმამ შეცვალა და დაიწყო მონაწილეთა საზეიმო სვლა. ტრადიციისამებრ პირველი მოდიან ოლიმპიადის სამშობლოს — საბერძნეთის წარმომადგენლები. შემდეგ არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, ბულგარეთი, კანადა, ჩილი, დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი. ოლიმპიადის ყველაზე ხალხმრავალი დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა, სსრ კავშირის სპორტსმენები, რომელთაც ჩვენი სახელმწიფოს ალმით ხელში წინ მოუძღვის მოთხილამურე ვ. მამატოვი. სტადიონზე შეკრებილნი მქუხარე ოვაციით ხვდებიან ჩვენს შესანიშნავ სპორტსმენებს ლ. ბელოუსოვას, ო. პროტოპოპოვს, ლ. სკობლიკოვას, ე. გრიშინს, ე. მატუსევიჩს. სამწუხაროდ, საზეიმო სვლაში ვერ ვიხილეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებმაც დატოვეს ოლიმპიური ქალაქი და სამშობლოში გაემგზავრნენ. საქმე იმაშია, რომ ოლიმპიადამდე გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთკვირიან სხდომაზე სხვა საკითხთან ერთად განიხილეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხიც და ამ ქვეყნის სპორტულ ხელმძღვანელებს წინადადება მისცეს თამაშებში გამოსულიყვნენ ჩრდილოეთ კორეის სახელით, რაც ამ დელეგაციამ უარყო.

... X ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი სთხოვს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გახსნას ოლიმპიადა. შარლ დე გოლი მიდის მიკროფონთან და ზამთრის X ოლიმპიურ თამაშებს გახსნილად აცხადებს. ვეებერთელა ოლიმპიური დროშა ალმართულ იქნა მთავარ ფლაგშტოკზე. ორკესტრი და გუნდი ასრულებს 1896 წლის ოლიმპიური თამაშების ჰიმნს.

სტადიონზე შემოდის ზამთრის IX ოლიმპიადის მასპინძლის — ინსბრუკის დელეგაცია, რომელიც 4 წლის წინანდელ ოლიმპიურ ალამს გადასცემს გრენობლის დელეგაციას. ოლიმპიური სტადიონის თავზე გამოჩნდნენ ვერტმფრენები, რომლებმაც ჭირს გადმოყარეს 50 ათასი ვარდი, მიწაზე ეშვებოდა მინიატურულ პარაშუტებზე მიმაგრებული 3-3 ალისფერი ვარდი — ქალაქ გრენობლის ემბლემა.

ხალხმრავალი სტადიონი უფრო გამოცოცხლდა, როცა სარბენზე გამოჩნდა მეჩირაღდნე, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ციგურებით ფიგურულ სრიალში ალენ კალმა. მან სირბილით ჩაუარა ტრიბუნებს, შემდეგ ავიდა მაღალ კიბეზე, მიუახლოვდა უზარმაზარ ფიალას და აანთო ოლიმპიური ჩირაღდანი. ოლიმპიური სარბიელი უფრო განათდა, როცა ხუთასმა მოსწავლემ აანთო ჩირაღდანი. ა. კალმამ ოლიმპიურ ჩირაღდნიდან ცეცხლი მოუკიდა 6 მეჩირაღდნეს, რომლებმაც გეზი შეჯიბრებების ადგილებისკენ აიღეს.

გრენობლის თამაშებმა სტარტი აიღო. 13 დღეს იგიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი და სხვადასხვა სარბიელზე გამარჯვებისთვის ერთმანეთს შეეცილება 37 ქვეყნის 1.355 სპორტსმენი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 26 (3510)

1968 წ. 7 თებერვალი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




ნახ. გ. იაშვილისა.




## 7 თებერვალი

### თამაშების პროგრამა

**ასეთია:**

1. **ფიგურული სრიალი.** ქალები. სავალდებულო პროგრამა — 10 ს;
2. **თხილამურებით** 30 კილომეტრზე რბენა — 11 ს. 30 წ;
3. **თხილამურებით** ვაჟთა სწრაფდაშვება — 15 ს;
4. **ჰოკეი.** შვეცია — აშშ — 20 ს;
5. **ბობსლეი.** ორადგილიანი მარხილებით წინასწარი ტურნირი — 21 ს., 30 წ;
6. **ჰოკეი.** სსრ კავშირი — გდრ — 24 ს.

**ცისფერ ეკრანებზე ნახავთ:**

1. **თხილამურებით** 30 კმ რბენას — 12 ს, 45 წ. (მეორე პროგრამით მას გაიმეორებენ 20 ს.).
2. **ჰოკეის.** სსრ კავშირი — გდრ — 24 ს.

**საკავშირო რადიოთი გადაიცემა:**

1. **ჰოკეი.** სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდების მატჩის ბოლო პერიოდი — 1 ს, 35 წ.

**შენიშვნა:** დრო თბილისისაა.



გრენობლის X თეთრი ოლიმპიადის მონაწილე საბჭოთა ნაკრები გუნდების სპორტსმენთა საპარადო ოლიმპიური ფორმა.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

# ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

თეთრი ოლიმპიადის კარიბჭის წინ უძლიერეს სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებანი სულ უფრო დაძაბული იყო. მათ მიერ საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული ქულები მართლ „მსოფლიოს თასის" გათამაშების ჩათვლაში როდი შედის, — გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში (შამრუსის ტრასებზე) მონაწილენი კენჭისყრისას ჯგუფებად სწორედ ამ ქულების მიხედვით დაიყვნენ.

სენ-ჟერვეში ჩატარებული ქალთა ბოლო წინაოლიმპიური შეჯიბრების შესახებ უკვე ვწერდით. ახლა გაგაცნობთ ვაჟთა ბოლო ტურნირების მაჩვენებლებს. კიცბიუელში (საფრანგეთი) სპეციალურმა სლალომმა უპირატესობა შვეიცარიელ დ. ჯოვანოლის მოუტანა. მან ტრასა 2 წუთსა და 3,2 წამში დაფარა ორი ცდით, რაც ავსტრიელ ა. მატის მაჩვენებელს სულ რაღაც 0,2 წამით სჯობს. „მსოფლიოს თასის" შარშანდელი მფლობელი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი ჟ. კ. კილი III ადგილზე გავიდა — 2.05,5. იქვე ჩატარდა სწრაფდაშვება. იგი მოიგო გ. ნენინგმა (ავსტრია) — 2.14,5. კილი ამჯერად მეორე იყო — 2.14,9.

მეორე ჯგუფი მეჟევში (საფრანგეთი) ასპარეზობდა. სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს: ა. პეცმა (საფრანგეთი), — 2.04,6, ფ. დიგრუბერმა (ავსტრია) — 2.05,1 და ჯ. ჰიუგმა (აშშ) — 2.05,4. აქვე სპორტსმენები გიგანტურ სლალომში ორჯერ შეეჯიბრნენ ერთმანეთს. პირველსავე ცდაზე ბ. ორსელი (საფრანგეთი) დაწინაურდა — 2.02,9, მეორე ცდაზე მან ეს შედეგი 2 წამით გააუარესა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მას დარჩა, ვინაიდან II პრიზიორმა ვ. კიდმა (აშშ) შესაბამისად 2.05,4 და 2.03,2 აჩვენა, ხოლო III ადგილზე გასულმა კ. შნაიდერმა (შვეიცარია) 4 წუთი და 8,5 წამი დახარჯა.

წინაოლიმპიურმა სტარტებმა ცხადყო შედეგების სიმჭიდროვე და ახალი სახელებიც გამოავლინა. ამით ყველა წინაოლიმპიური ტურნირი დამთავრდა. ოლიმპიური თამაშების სამთო სახეობების მსაჯთა კოლეგიამ სიძლიერის მიხედვით დაანაწილა სპორტსმენები. ვარაუდობენ, რომ შამრუსის ტრასაზე გამარჯვებისათვის ბრძოლა ძირითადად საფრანგეთის, ავსტრიისა და შვეიცარიის სპორტსმენებს შორის უნდა გაჩაღდეს, ვინაიდან ყველაზე გაბედული და ახალგაზრდა სამთომოთხილამურეები სწორედ მათ გუნდებში არიან. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონი მ. გოიჩელი ძლივს მოხვდა საფრანგეთის ნაკრებში, მის დას კრისტინას კი ი. მირმა, ფ. სტერემ და მ.-ფ. ჟანჟორჟმა გაუწიეს მეტოქეობა. ავსტრიელთა ძველ გუნდში ქალთაგან მარტო კ. ჰაასი დარჩა.

ამრიგად, დღეს ოლიმპიადაზე ბრძოლაში ჩაებმებიან სამთომოთხილამურეები.

# ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔ

**ჩელიაბინსკი,** 6 თებერვალი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალები.

ქალთა ტურნირში ლიდერობს თ. ხუგაშვილი, რომელსაც 5 ქულა აქვს (7-დან). ნ. ჩიქობავამ 3,5 ქულა მოაგროვა.

ვაჟთა ტურნირში ჩვენებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. გ. მაჭავარიანმა ზედიზედ დაამარცხა რუმიანცევი (ბარნაული), ნოსაჩენკო (ნოვოსიბირსკი), ვოლინი (პერმი) და 4 ქულით ლიდერებშია ზ. მიქაძესთან ერთად. გ. გამრეკელმა მიქაძესთან ყაიმის შემდეგ მოუგო სერგეევს (დნეპროპეტროვსკი) და ა. არხიპოვს (ყაზანი) და 3,5 ქულით ლიდერებს კვალში ჩაუდგა.

# დღის რეჟიმი კანონია

სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს ბავშვთა სპორტულ სკოლებსა და ცენტრალურ სექციებში მეცადინეობის საშუალება არა აქვთ. ამ ნაკლის შევსება რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლებს ევალებათ და მათი ჯგუფები სწორედ ინტერნატის ბაზებზეა გახსნილი. ცხადია, ამ ჯგუფებში ყველა ვერ მოხვდება. ამიტომ მოზარდებს ფიზკულტურის კოლექტივთან შექმნილმა სექციებმა და დღის რეჟიმით გათვალისწინებულმა მეცადინეობებმა უნდა გაუწიონ დახმარება. სამწუხაროდ, ინტერნატებში ხშირად გვსმენია ერთი და იგივე საყვედური: საზოგადოებრივი სექციები ვერ აკმაყოფილებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ბევრგან უხეშად ირღვევა დღის რეჟიმი.

სულ ახლახან გავეცანით თბილისისა და თეთრი წყაროს 8-წლიანი და ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატების საქმიანობას. რაკი ინტერნატში ერთიან დღის რეჟიმთან გვაქვს საქმე, ამ სკოლების მუშაობაში თითქოს არც უნდა შეიმჩნეოდეს განსხვავება. და მართლაც, მათი საქმიანობა საოცრად ერთნაირია, ერთნაირია მხოლოდ...

თბილისის ინტერნატს (დირექტორი ვ. თუმანიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებლები მ. შველიძე და ა. მჭედლიძე) სანიმუშო ბაზები აქვს. ამ სკოლის ხელბურთელებმა (მწვრთნელი მ. შველიძე) ბოლო ხანს ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა რესპუბლიკის ინტერნატების პირველობაში. მათი ეს წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლას. აქ უმალვე გახსნეს ხელბურთელთა ჯგუფი. ნაყოფიერად მუშაობს სპორტსკოლის ტანვარჯიშული სექციაც (მწვრთნელი ი. გარანკინი). ამ სექციის წევრებმა რაიონის მოსწავლეთა შარშანდელ პირველობაში II ადგილი დაიკავეს. მაგრამ სექციებში მხოლოდ 30 მოსწავლეა გაერთიანებული, მსურველი კი უამრავია.

— რა სახეობაში ვარჯიშობთ? — ვკითხეთ V-ბ კლასის რამდენიმე მოსწავლეს. არც ერთში. — გვიპასუხეს ერთხმად. ყველამ დაასახელა, ვის რა სახეობა იზიდავს. მაგრამ მთელ სკოლას გაუგია, თითქოს ბავშვებს სპორტულ სექციებში ვწერდით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გარს გვერტყმოდნენ მოსწავლეები, — ჩვენც ჩაგვწერეთო, გამოირკვა, რომ ფიზკულტურულ კოლექტივში მეცადინეობა იშვიათად ტარდება. მოსწავლეები არც სპორტული და გასართობი თამაშებით ყოფილან განებივრებული. აღმზრდელებს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ რეჟიმის ამ მოთხოვნის დაცვა. არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

... იმ დღესაც მხოლოდ ოთხოროლა ბავშვი ერთობოდა ბურთის თამაშით. ა. მჭედლიძე V-ა და V-ბ კლასებს ერთდროულად უტარებდა ფიზკულტურის გაკვეთილს. მთელი გაკვეთილი იმით ამოიწურა, რომ ბავშვებმა ორჯერ-სამჯერ თუ მოასწრეს ტაიჭზე გადახტომა. ეს იყო და ეს. სპორტული ტანსაცმელი არც ერთს არ ეცვა. საქმე ისაა, რომ მოსწავლეს ფორმა პირადად უნდა ჰქონდეს. აქ კი ასეთი წესი შემოუღიათ: დარბაზში 50-მდე ხელი სპორტული ტანსაცმელი აწყვია და ამ ტანსაცმელს 245 მოსწავლე იცვამს მორიგეობით. უფროსი აღმზრდელის სეიფში და ფიზკულტურის კაბინეტში კი დიდძალი ხელუხლებელი სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გვიჩვენეს (!).

ფიზკულტურასა და სპორტს თეთრი წყაროს ინტერნატის (დირექტორი ა. დალაქიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ფილიევი) დღის რეჟიმშიც ნაკლები ყურადღება ექცევა. სისტემატურად არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში. ჩვენ რომ ინტერნატში მივედით, მოსწავლეებს სპორტული და გასართობი თამაშები უნდა ჰქონოდათ, მაგრამ აღმზრდელმა თ. ჭითანავამ ეს არც იცოდა. სპორტდარბაზი ხშირად გამოკეტილია.

კარგად ვერ მუშაობენ სკოლისა და სპორტსკოლის სექციები. სექციურ მეცადინეობათა სუსტ კონტროლზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მწვრთნელები განათლების განყოფილებიდან გასამრჯელოს სკოლის დირექტორის გაცემული ცნობით იღებენ. ბუღალტერიას არც მეცადინეობების ჩატარების უწყისი აინტერესებს, არც გასული წლების ჟურნალებს ინახავს.

სექციური მუშაობა სათანადო დონეზე ვერ დგას ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატშიც (დირექტორი შ. არველიძე, უფროსი მასწავლებელი ა. გელაშვილი). სკოლას 333 მოსწავლიდან განათლების განყოფილების 8 სექციაში მხოლოდ 100 მოსწავლეა ჩაბმული. მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ სკოლაში მაინც მეტად იგრძნობა სპორტული ცხოვრების მაჯისცემა. სისტემატურად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. მძლეოსნები 3 წელია ინარჩუნებენ რაიონის ჩემპიონობას და თასს. ბადალი არც ტანმოვარჯიშეებს ჰყავთ. სასწავლებელში თვალსაჩინო ადგილი გამოუყვიათ მოსწავლეთა სპორტული მიღწევების ამსახველი მასალებისთვის. ცალკე ამოუკრებიათ და დერეფანში გამოუკრავთ სკოლის რეკორდსმენთა გვარები. დირექცია ყოველმხრივ ეხმარება ფიზკულტურის კოლექტივს, რომელიც უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარითა და ფორმით, ამას გარდა, სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები.

სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი სრულიადაც არ ზღუდავს მასწავლებელთა და მოსწავლეთა თაოსნობას, ფიზკულტურული საქმიანობის უკეთ გაშლის შესაძლებლობას. ამასთან, ინტერნატის დირექციებმა მტკიცე კონტროლი უნდა გაუწიონ დღის რეჟიმის მოთხოვნათა შესრულებას. აქვე უნდა შევნიშნოთ: ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, რომ ინტერნატების სახელმძღვანელო ინსტრუქციაში I-IV კლასებისთვის რეჟიმის მიხედვით სპორტული თამაშებია გათვალისწინებული, V და უფროსი კლასებისთვის კი მოძრავი გასართობი თამაშები. პირიქით, ხომ არ უნდა იყოს?

ვფიქრობთ, სწორად იქცევიან იმ სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები, რომლებიც დღის რეჟიმს ცალ-ცალკე ადგენენ I-IV, V-VIII, ან X კლასებისთვის, აგრეთვე კვირა დღეებისთვის.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თბილისი — თეთრი წყარო — ახალციხე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატის VII კლასის მოსწავლე, რაიონის ნაკრები გუნდის წევრი ს. მურვანიძე და მისი მწვრთნელი ლ. იგითხანიშვილი მორიგი ვარჯიშისას.

ფოტო ავტორისა.



# „მხიარული დელფინის" ახალი სტარტი

დამთავრდა თბილისის ბავშვთა ცურვის სპორტსკოლების წლევანდელი საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების I ეტაპი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე „მხიარული დელფინი". ასპარეზობაში მონაწილეობდა ნორჩი დინამოს, „განთიადის", „შრომითი რეზერვებისა" და თბილისის განათლების განყოფილების 730 წარმომადგენელი.



ჯერ გაიმართა შიდასასკოლო შესარჩევი შეჯიბრებები, რომლებმაც ოთხივე ასაკობრივ ჯგუფში (9-10, 11-12, 13-14, 15-16 წლისანი) გამოავლინეს 5-5 საუკეთესო, შემდეგ „დინამოს" საცურაო აუზში მოეწყო ფინალური ასპარეზობა. ბავშვები 50 მეტრზე ცურვაში ცდიდნენ ძალას. ამას გარდა, „დინამოს" სტადიონზე ისინი საერთო ფიზმომზადებაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც ცნობილია, საერთო ფიზმომზადების პროგრამაში შედის ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, სამედიცინო ბურთის ორი ხელით ტყორცნა და სირბილი (სირბილში 9-10 წლის ბავშვები არ მონაწილეობენ). გამარჯვებულიც კომპლექსური ჩათვლის შემდეგ ვლინდებოდა.

გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს ნორჩმა დინამოელებმა. მათ 15 საპრიზო ადგილი და 34 ქულა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა „განთიადი", რომელმაც 3 საპრიზო ადგილის დასაკუთრებით 7 ქულა მოაგროვა, III იყო განათლების განყოფილების გუნდი (6 საპრიზო ადგილი, 6 ქულა). „შრომითი რეზერვების" მოცურავეებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დაიკავეს. მათი წარუმატებლობის მიზეზი ისაა, რომ საპრიზო ადგილის ნაღდი ფავორიტები გ. პრიხიაჟნიუკი, ი. საპრიკინი და ჯ. ჩაბაკაური ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

საერთო ფიზმომზადებაში ასპარეზობას ჩვენი მოცურავეები მუდამ არიდებდნენ თავს და ტრადიციას არც ახლა უღალატეს. ამან ბევრი ისეთი დააზარალა, ვინც ცურვაში საპრიზო ადგილი მოიპოვა. მაგალითად, თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის აღსაზრდელი გ. ზუმბულიძე, რომელმაც 9-10 წლის ბიჭებში ცურვაში I ადგილი დაიკავა, მძლეოსნობაში სასპარეზოდ არ გამოცხადდა, რის გამო საბოლოოდ საპრიზო ადგილი დაკარგა. საერთოდ, მძლეოსნობას 40 ფინალისტმა აარიდა თავი.

11-12 წლის ბიჭებში ყველას აჯობა თბილისის 69-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა ნორჩმა დინამოელმა თ. ბახუტაშვილმა (მწვრთნელი მ. ამილახვარი). მან კარგი შედეგები აჩვენა ბრასით ცურვაში (41,2). 2-კილოგრამიანი ბურთი 8,80 მეტრზე ტყორცნა, ადგილიდან სიგრძეზე 220 სანტიმეტრზე გადახტა, 300 მეტრის გარბენას კი 54,9 წამი მოანდომა და საბოლოოდ 912 ქულა მოაგროვა. ბახუტაშვილის გამარჯვება არავის გაჰკვირვებია: ის ხომ შარშანდელი საკავშირო ტურნირის II პრიზიორია. გასული წლის IV ეტაპთან შედარებით მან ცურვაში 0,5 წამით გააუმჯობესა შედეგი, ხოლო ბურთის ტყორცნაში — მეტრნახევრით.

განთიადელმა გოგონამ, თბილისის 22-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ს. ოტიაშვილმა ასაკობრივ ჯგუფში ერთი საფეხურით მაღლა გადაინაცვლა და არც აქ დათმო პირველობა: კვლავ გაიმარჯვა კომპლექსურ ჩათვლაში. მისი ტექნიკური შედეგებია: თავისუფალი სტილით ცურვა — 34 წამი, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა 220 სანტიმეტრი, ბურთის ორი ხელით ტყორცნა — 10,80 მეტრი და 500 მეტრზე სირბილი — 1 წუთი და 46 წამი (სულ 1390 ქულა).

ა. ბურასაშვილი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქვემოთ თ. ბახუტაშვილი ასპარეზობისას; ზემოთ — შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილე თ. ლეკვეიშვილი ბურთს ტყორცნის.

ფოტო ავტორისა.

## „მხიარული დელფინის" I ეტაპის პრიზიორთა ტექნიკური შედეგები:

### 9-10 წლის ბიჭები

მ. განჯიაშვილი (ნორჩი დინამო) — 386 ქ.
ა. რაჩნიკოვი („განთიადი") — 250,
ვ. კოველსკი (ნორჩი დინამო) — 228.

### გოგონები

გ. იოაკიმიდი (ნორჩი დინამო) — 521,
ი. ეკანომოვა („განთიადი") — 461,
ნ. გელაძე (ნორჩი დინამო) — 449.

### 11-12 წლის ბიჭები

თ. ბახუტაშვილი (ნორჩი დინამო) — 912,
ი. ბრიზგალოვი (ნორჩი დინამო) — 868,
ს. მაკაროვი (ნორჩი დინამო) — 764.

### გოგონები

ლ. მიზინოვა (ნორჩი დინამო) — 956,
ი. მიქაძე (ნორჩი დინამო) — 907,
ი. ყულიჯანოვა (ნორჩი დინამო) — 899.

### 13-14 წლის ბიჭები

ვ. გონჩაროვი (ნორჩი დინამო) — 1391,
გ. ზაკატოვი (განათლების განყოფილება) — 1283,
თ. ადნაროგოვი (განათლების განყოფილება) — 1249.

### გოგონები

ი. ზარგარიანი (ნორჩი დინამო) — 1203,
ო. ვილკოვა (განათლების განყოფილება) — 1157,
ი. ოხოიანი (განათლების განყოფილება) — 1155.

### 15-16 წლის ბიჭები

ბ. გევორქოვი (ნორჩი დინამო) — 1189,
ა. თოფურია (ნორჩი დინამო) — 1163,
ა. ტრიგლაზოვი (განათლების განყოფილება) — 1156.

### გოგონები

ს. ოტიაშვილი („განთიადი") — 1390,
ვ. ზიბიმა (განათლების განყოფილება) — 1197,
გ. კონდრატიევა (ნორჩი დინამო) — 1059.

## [illegible]

### ახმეტა

ხის დამმუშავებელი ქარხნის პირველობამ ჭადრაკსა და შაშში ბევრი მოყვარული მიიზიდა. მოჭადრაკეთა ტურნირში ყველას აჯობა პ. გოდერძიშვილმა (16 ქულა 18-დან), მოშაშეებში — ვ. პაპუნაშვილმა (19 ქულა 26-დან).

შ. ნათელაური.

### სოჭი

აქ გაიმართა სოჭის, კრასნოდარისა და აფხაზეთის მოსწავლე-მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრება, რომელშიც გამარჯვება აფხაზეთის ს პ ო რ ტ ს მ ე ნ ე ბ ს ხვდათ. მათ გადაეცათ სამახსოვრო თასი და სოჭის განათლების განყოფილების სიგელი. II ადგილი მასპინძლებმა მოიპოვეს.

ზ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# კამათში იბადება ჭეშმარიტება

შარშანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი წინაზე საინტერესო იყო. არ ვიცი, სუსტები გაძლიერდნენ, არ ვიცი, ძლიერები დასუსტდნენ. შეიძლება ერთიც მოხდა და მეორეც. დაუმატეთ ამას ისიც, რომ დაცვის ტენდენციებმა, რომლებმაც სულ უფრო მკვიდრად მოიკიდეს ფეხი, გააწონასწორეს გუნდების თამაშის კლასი. ასეა თუ ისე, ძალები ამ ჩემპიონატში უფრო გათანაბრდა და ამიტომ დავაც გამწვავდა.

არ იყო გუნდი, რომელსაც ჩემპიონობის აშკარა პრეტენზია ექნებოდა. და თუმცა კიეველი დინამოელები კვლავ უძლიერესებად რჩებოდნენ, მათი დონე უკვე აღარ იყო მიუწვდომელი. გამოჩნდა ერთი გუნდი მაინც (მოსკოვის „დინამო"), რომელმაც მძაფრი მეტოქეობა გაუწია მთავარ პრეტენდენტებს და თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ჩემპიონობის ბედს გადაუწყვეტელს ტოვებდა.

არ იყო აშკარად განწირული გუნდიც, რომლის როლიც ერთი წლის წინ ოდესის არმიელებმა შეასრულეს. მაშინ არავის უწევდა ზურგს უმაღლესი ლიგის დატოვების შიში, ასეთი საფრთხე არც კი არსებობდა, იმდენად სუსტი იყო ოდესის გუნდი. ახლა სურათი შეიცვალა. ეს საშიშროება 1 წრეში თუ მეტს არა, 5 გუნდს მაინც დაემუქრა, რომლებიც თავაზიანად უთმობდნენ ერთმანეთს ჩამკეტის ადგილს. ბოლოსდაბოლოს ყველაზე უკან „ზენიტი" დარჩა. მაგრამ ეს გუნდიც ბოლო წუთამდე არ კარგავდა იმედს, რომ როგორმე დაიხსნიდა თავს „ჩერნომორეცის" ხარჯზე.

საერთოდ კი, სუსტები ახლა უფრო ძლიერად თამაშობდნენ, ვიდრე სხვა დროს. საკმარისია ითქვას, რომ აუტსაიდერთა სამეულმა 1966 წელს 67 ქულა მოაგროვა და 68 ბურთი გაიტანა, ახლა კი შესაბამისად — 76 და 86! კიდევ რამდენიმე ციფრი: სხვაობა პირველსა და უკანასკნელს შორის 41 ქულა იყო, ახლა კი 33-მდე შემცირდა. ფრედ დამთავრებული შეხვედრების რიცხვი 105-დან 122-მდე გაიზარდა. გატანილი ბურთების საერთო რაოდენობა კი 766-დან 721-მდე შემცირდა, ესე იგი, საშუალოდ, 2,2-დან 2,1-მდე ერთ შეხვედრაში. სხვათა შორის, შედეგიანობის მიხედვით საუკეთესო სამმა გუნდმა 1966 წლის ჩემპიონატში სულ 182 ბურთი გაიტანა, შარშან — 159. მცირე განსხვავება როდია!

ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ჩვენი ფეხბურთის საერთო აღმავლობის შედეგი, რომელშიც ჩამორჩენილები დაწინაურებულებზე სწრაფად მიიწევდნენ წინ და ამიტომ მიუახლოვდნენ მათ, არის თუ არა შედეგი ზოგიერთი გუნდის რეგრესისა, ან ქულობრივი მერკანტილიზმისა და მოდური ტაქტიკური იდეებისა, რომლებიც დაცვაში დაზღვევისა თუ უსაფრთხოების ნიშნით შეიჭრნენ მინდორზე, ფაქტი ფაქტად რჩება. დღეისთვის მოხდა რაღაც დაახლოება, ძალთა რაღაც გათანაბრება ჩემპიონატში, რამაც გააძლიერა მეტოქეობა და გაზარდა ფრედ დამთავრებული თამაშების რიცხვი, შედეგიანობის კლება და ის სათამაშო პრაქტიციზმი, რომლის სიჭარბეც საერთოდ ზიანს აყენებს ფეხბურთს, განსაკუთრებით კი თამაშის სილამაზეს.

ფეხბურთი ვერ იარსებებს მაყურებლის ვნების გარეშე. მაგრამ ამ ხანახანიერივი ინტერესის ბუნება ორგვარია. ერთის მხრივ, ესაა ხელოვნებისმიერი და თამაშის საერთო სილამაზით მონიჭებული ესთეტიკური სიამოვნება, მეორე მხრივ, თამაშის წმინდა სპორტული საწყისი, რომელიც მაყურებელს აინტერესებს შეჯიბრების შედეგებით, ქულებით, ცხრილებით.

რამდენადაც ძალთა თანაბრობა გაიზარდა და მეტოქეობა გამწვავდა, ჩვენმა ფეხბურთმა 1967 წელს უფრო მეორე თვალსაზრისით დააინტერესა მაყურებელი. ამჯერად მოხდა ისე, რომ ფეხბურთმა სილამაზე შეულებელყო დაძაბული ბრძოლისთვის და, სამწუხაროდ, თავად გამოიყვანა სარბიელზე ფრე, დაბალი შედეგიანობა, შიშის მანია, ანგარიშიანობა. ამას მოჰყვება მხოლოდ სპორტის პროსტრაცია, რაკი შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ თამაში ფრედ დამთავრდეს „მოლაპარაკების" გზით და გუნდებმა ქულები „ძმურად" გაიყონ. ვიდრე შანსების რაღაც თანაბრობა ბურუსით მოსავდა მომავალს, ბრძოლას ამძაფრებდა და მეტოქეობის ატმოსფეროს ქმნიდა, მედლის მეორე მხარე, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, შეუმჩნეველი რჩებოდა. მაგრამ როგორც კი გაირკვა, რომ მთავარი კოლიზიები უკვე ჩემპიონატის დამთავრებამდე გაქრა, თამაშისადმი ინტერესიც მყისვე განელდა, რადგან ნიადაგი აღარ ჰყოფნიდა. ამგვარად, ფეხბურთმა თავისი ხელით მოისპო ინტერესი თავისი თავისადმი, რომელიც თავიდანვე შვა.

რა თქმა უნდა, ფეხბურთს შეუძლია ზოგჯერ ბოლო წუთამდე არ ახადოს ფარდა გუნდების ბედის საიდუმლოს და ამგვარად შეინარჩუნოს სპორტული აჟიოტაჟი, მაგრამ ამისთვის თამაშის არც ერთი მიმზიდველი თვისება არ უნდა დავთმოთ შეგნებულად.

ჩვენ ვაღიარებთ ერთადერთ ფეხბურთს, — ოსტატურ, აგრესიულ, სანახაობრივად ლამაზ, სპორტულად პრინციპულ და პატიოსნურ ფეხბურთს.

ფეხბურთის რომელიღაც არსებითი მხარეები უეჭველად გაუფერულდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ მან განვითარება შეწყვიტა. თუ ეს არ გავითვალისწინეთ, სხვაგვარად ძნელი იქნებოდა ახსნილიყო, რომ 1967 წელს სამამულო ფეხბურთმა საერთაშორისო პოზიციები განიმტკიცა ოფიციალურ გათამაშებათა ყველა დონეზე.

ფეხბურთი წინააღმდეგობრივად, დისპროპორციულად ვითარდება. არღვევს თავისივე ნაწილების დინამიურ წონასწორობას და თავადვე ისწრაფვის მისი აღდგენისკენ, ხან ერთ მხარეს განავითარებს, ხან მეორეს.

ნებისმიერი ჩემპიონატის ნებისმიერ ცხრილში ასეა: იმისთვის, რომ ვიღაც ზედა საფეხურზე ავიდეს, ვიღაცამ თავისი ადგილი უნდა დათმოს. ამასთან, ხანდახან ეს შინაგანი გადანაცვლება ხდება მიუხედავად იმისა, რომ პროგრესს ყველა განიცდის. საქმე ისაა, რომ ზოგი ერთ ნაბიჯს დგამს წინ, ზოგიც სამს. ხანდახან ძალთა შეფარდებაც კი არ იცვლება. უბრალოდ, ზოგს გაუღიმებს ბედი, ზოგს არა, იღბალიც ხომ რაღაცას ნიშნავს სპორტში. ხანდახან რანგებიც იცვლება, რადგან ერთი რომ მთის მწვერვალისკენ მიდის, მეორე უკვე დაბლა ეშვება, ერთი აღმავლობის პერიოდს განიცდის, მეორე კი დაღმავლობისას, რადგან ყოველი გუნდის პროგრესის ისტორია ამ აღმავლობისა და დაღმავლობის, წარმატებისა თუ წარუმატებლობის მონაცვლეობაა.

ბოლო ჩემპიონატი ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ.

ეჭვი არ არის, მისი გმირები კიევის დინამოელები იყვნენ, — მათ შეინარჩუნეს ჩემპიონობა. ეს კი ყველაზე ძნელი საქმეა. კიეველებს დიდ მეტოქეობას უწევდნენ, მაგრამ თანაბარი ძალის გუნდი ჩემპიონებს მაინც არ გამოუჩნდათ. ამჯერად კიეველებს უფრო მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ — ვეღარც იმდენი მატჩი მოიგეს, ფრედ დამთავრებული შეხვედრების რიცხვიც გაიზარდა, ნაკლები ბურთებიც გაიტანეს და ქულაც იმდენი ვეღარ მოაგროვეს. მაგრამ, ვიმეორებთ, ის ამბავი, რომ კიეველებმა ჩემპიონობა შეინარჩუნეს, სულ სხვაგვარ შუქს ჰფენს მათ თითქოსდა ნაკლებ მნიშვნელოვან შედეგებს. არ დაივიწყოთ, რომ ჩემპიონთა წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდა. მაშ, რაღამ გადაწყვიტა მათი გამარჯვება? მოთამაშეთა იშვიათმა შემადგენლობამ, ჩინებულმა რეზერვმა, ძალიან კარგმა მწვრთნელმა თუ მოშხადების კულტურამ? ეს ყოველივე თავისთავად იგულისხმება, მაგრამ მთავარია ნოვატორობა თამაშის ორგანიზაციაში. ზონალური დაცვა. მოძრაობა და მოძრაობა, როგორც ფეხბურთელთა თამაშის ყველა ფაზაში აქტიურად ჩაბმის პრინციპზე აგებული ურთიერთმოქმედების ახალი ორგანიზაციის საფუძველი, კონტრიერიში, როგორც გადამწყვეტი დამრტყმელი იარაღი, ტაქტიკური უპირატესობა — აი, პირველ ყოვლისა, მათი წარმატების საიდუმლო.

კიეველებმა უკან გადასწიეს თავისი თავდამსხმელების ნაწილი და თან გაიყოლეს სხვისი მცველები. შედეგად გამოვიდა ისე, რომ ჩემპიონებს ფაქტიურად 2 თავდამსხმელი ჰყავდათ, მათ მეტოქეებს კი 2 მცველი. ამგვარად, კიეველებს, რომლებიც ზონურ დაცვაში თამაშობდნენ, 4-5 მცველი მუდამ ფხიზლად ჰყავდათ. სამაგიეროდ, მეტოქის 2 მცველი უკვე ვეღარ აუდიოდა საკუთარი კარის მოვლას. ვეღარ უმკლავდებოდა კიეველთა თავდამსხმელებს, რომლებიც მთელ სივრცეზე მანევრირებდნენ, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და ხშირად დამოუკიდებლად სწყვეტდნენ ამ იერიშის ბედს.

კონტრიერიში ბასრი იარაღია, რომლითაც შეიძლება ორი კურდღლის მოკვლა — საკუთარი კარის მასირებული დაცვით გამაგრება და მეტოქის მთავარი ძალის შუა მინდორზე „გატყუება" თამაშის სიმძიმის ცენტრის იქ გადატანით. ამ გზით თავისუფლდება მეტოქის კარის მისადგომები და თავდამსხმელებს ოპერატიული მოქმედების არე ეძლევათ. მაგრამ ეს ხერხიც მხოლოდ თავის დრომდეა გამოსადეგი, მანამდე, ვიდრე მეტოქე მის არსს მიხვდებოდეს, ვიდრე სიახლის ელფერს ინარჩუნებს. კონტრშეტევისთვის საჭიროა, რომ შენ გიტევდნენ. მაგრამ თუ ორივე მხარე კონტრიერიშით თამაშს აპირებს და მთავარი ძალის კონცენტრირებას ახდენს დაცვაში, მაშინ მეტოქეები ერთიმეორეს გაურბიან და შეპყრობილი არიან ერთადერთი აზრით: გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი, ოღონდ კი კარში ბურთი არ გაუშვან.

ვ. მასლოვი კიევის „დინამოში", როგორც ერერა „ინტერნაციონალეში", პირისპირ შეეჯახა ამ პრობლემას. კონტრთამაშის ანკესზე წამოგება აღარავის სურს. სიფრთხილე მატულობს და ორ თავდამსხმელს ძალიან უჭირს ამ გამაგრებული დაცვის წინააღმდეგ ბრძოლა, თამაშის მეტოქის მოედანზე გადატანა. ამ თვალსაზრისით კონტრიერიშით თამაშმა უკვე მოჭამა თავისი დრო. გაჩნდა აუცილებლობა დაცვიდან იერიშზე გეგმაზომიერი გადასვლისა, სადაც ზედმეტმა აჩქარებამ შეიძლება შენვე მოგიტანოს ზიანი.

ერთ ეტაპზე კიეველებმა გადაჭრეს ამოცანა, თუ როგორ შეექმნათ ოპერატიული მოქმედების არე თავისი თავდამსხმელებისთვის. მათ შესანიშნავად ისწავლეს თვითონაც და სხვებსაც ასწავლეს მტკიცედ შეკრული დაცვის დაშლა და მეტოქის „გამოტყუება" კონტრშეტევი თამაშის ტაქტიკით. მაგრამ ამ ქვეყნად სამუდამო არაფერია. როცა აღარ წარმოადგენს საიდუმლოს, ეს ტაქტიკაც ზედმეტი ბარგია მხოლოდ. მასლოვმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე შენიშნა საფრთხე. ერთ-ერთ წერილში იგი ჩიოდა, რომ მათ წინააღმდეგ ყველა გაძლიერებული დაცვით თამაშობს. მაგრამ მას, როგორც ჩანს, შემთხვევით არ უთქვამს: მოთამაშეებით, რომლებიც ახლა კიევის „დინამოს" ჰყავს, ისეთი დაცვის ორგანიზება შეიძლება, რომ კარში ბუზიც ვერ შეფრინდებაო. იმის მაგიერ, რომ მეტოქეთა დაცვის გაძლიერების პასუხად იერიშის ახალი გზები მოენახა, მასლოვმაც ვერაფერი იღონა და ბოლოსდაბოლოს თვითონაც დააყენა ზედმეტი, ესე იგი, მეხუთე მცველი.

არა, მეხუთე მცველის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს. ხუთი მცველით თამაშმა ხელიც კი შეუწყო უნგრელებს ინგლისში, სადაც მათ ჭეშმარიტად არტისტული და შემტევი ფეხბურთი გვიჩვენეს. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში გამაფრთხილებელი სიგნალი წინიდან გაისმა, ზომები კი ზურგში მიიღეს. კიეველების მწვრთნელმა გადაწყვიტა ზურგში მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან დაეცვა გუნდი, დანარჩენში კი მისი თამაშის კლასის უპირატესობას დაყრდნობოდა.

მწვრთნელის მოსაზრება ამჯერადაც გამართლდა. მართალია, წინანდელი ბრწყინვალება აღარ იგრძნობოდა, მაგრამ კიეველმა დინამოელებმა ისე გაიმარჯვეს, რომ მათ უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. მათ მნიშვნელოვნად ჩამოიტოვეს უახლოესი მეტოქეები (მოსკოველი დინამოელები), 54 ქულა მოაგროვეს და თამამად შეეძლოთ წინანდელი შედეგების გამეორებაც (56 ქულა). კიეველებმა მოახერხეს უკეთ დაეცვათ კარი მეტოქეთა თავდასხმისაგან და ყველა სხვა გუნდზე თითქმის სამჯერ ნაკლები ბურთი გაუშვეს. მაგრამ კიეველთა შედეგიანობამ მკვეთრად იკლო და გატანილი ბურთების რიცხვით კიევის დინამოელები — მესამე ადგილზე არიან. ეს გარემოება ყურადსაღებია. ჩემპიონთა ბევრი ვენა შინა პირველობის ზოგიერთმა მატჩმა (მაგალითად, მოსკოვის არმიელებთან შეხვედრამ კიევში) და ევროპის ჩემპიონთა თასის დონეზე შეხვედრამ პოლონეთის „გურნიკთან", მისი მიზეზია მასირებული, მტკიცე დაცვის გარღვევის ნაკლები უნარი, რასაც თავის მხრივ ძალების სიმცირე იწვევს. ესე იგი, მიზეზია ის, რაც საერთოდ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი ფეხბურთისთვის და რაც უახლოეს მომავალში მისი მთავარი საკითხი იქნება.

სეზონის შედეგებში გუნდების ბედი ჩანს. და ეს ბედი ძალიან ცვალებადია. თუ ჩემპიონს და მე-17 ადგილზე დარჩენილ „ლოკომოტივს" არ ჩავთვლით, საფეხბურთო იერარქია წინა ჩემპიონატთან შედარებით ძალზე აირ-დაირია.

მათგან, ვინც მაღალ საფეხურზე გადაინაცვლა, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მოსკოვის დინამოელები. უნდა დავასახელოთ არა მარტო იმიტომ, რომ მათ მერვე საფეხურიდან მეორეზე გადაინაცვლეს, ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს და სსრ კავშირის თასი მოიპოვეს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს სტატისტიკა განმტკიცებულია ახლებური, დინამიური და დამაჯერებელი თამაშით. მოსკოვის დინამოელებმა გვიჩვენეს სწრაფ მანევრებზე აგებული, გაცვანაზე დაფუძნებული ფეხბურთი. მართალია, ისინი ყოველთვის თამაშობდნენ უმეტესად ერთი გასაღებით, რომელიც მუდამ როდი უდგებოდა მეტოქის კარის საკეტს. მაგრამ ახალგაზრდა და ნიჭიერი ვ. კოზლოვის გამოჩენამ შეიძლება საღებავები შემატოს მათს პალიტრას. ერთი სიტყვით, მოსკოვის დინამოელებმა აღადგინეს გუნდის რეპუტაცია და განამტკიცეს მოსკოვური ფეხბურთის ბოლოხანს საკმაოდ შელახული პრესტიჟი. ახლა მათ წინაშე კიდევ უფრო ძნელი ამოცანა დგას: დაამტკიცონ, რომ ეს წარმატება დროებითი და შემთხვევითი არ იყო.

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება).



სურათზე: მოსკოვის და თბილისის დინამოელთა შარშანდელი შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

**ფეხბურთი**

## სოხუმელთა გამარჯვება

გასულ კვირას სოხუმის სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს „ა" კლასის II ჯგუფის გუნდი — რიგის „დაუგავა." სოხუმელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. გოლები გაიტანეს წოწორიამ და დოლბამ.

შ. ჯალაღონია.

სოხუმი.

## ახალი ამბები

● **მეხიკო, 5 თებერვალი.** ანტვერპენის 1920 და ამსტერდამის 1928 წლების ოლიმპიური თამაშების ამსახველი უნიკალური დოკუმენტური ფილმების ჩვენებით მექსიკის დედაქალაქში დაიწყო სპორტული ფილმების ფესტივალი. ოლიმპიური წლის განმავლობაში მეხიკოელი მაყურებლები ნახავენ ყველა ოლიმპიური თამაშების ამსახველ ფირებს.

● **ლონდონი, 5 თებერვალი.** მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა გულაღმა ცურვაში, ინგლისელმა გოგონამ ლ. ლადგროვმა მიატოვა დიდი სპორტი.

● **ოლომოუცი, 5 თებერვალი.** ჩვენმა წყალბურთელებმა წარმატებით დაიწყეს ოლიმპიური წელი. საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი.

● **ჟენევა, 5 თებერვალი.** ნორვეგიელმა მოციგურავემ მ. ტომასენმა დავოსის მაღალმთიან საციგურაოზე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 1.500 მეტრზე რბენაში — 2.2,5. ძველი მიღწევა ეკუთვნოდა ჰოლანდიელ კ. ფერკერკს და უდრიდა 2.03,9-ს.

● **სან-დიეგო (აშშ), 5 თებერვალი.** აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიელმა სტუდენტმა კ. პირსიმ 2 მილის გარბენას 8.27,2 მოანდომა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა და 1,6 წამით უკეთესია მისივე თანამემამულის, სახელგანთქმულ რ. კლარკის შედეგზე. ამ შეჯიბრებაში სეზონის უმაღლესი მიღწევა აჩვენეს: ბირთვის კვრაში — მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა (აშშ) — 20,43 მ, სიმაღლეზე ხტომაში — მეტსონის თანამემამულემ ე. კარაზერსმა — 217 სმ. სიგრძეზე ხტომაში ბ. ბიმონმა (აშშ) აჩვენა 803 სმ.

● **ტოკიო, 5 თებერვალი.** იაპონელთა „ოლიმპიურმა იმედმა" ს. სასაკიმ გაიმარჯვა ტრადიციულ მარათონულ რბენაში, რომელიც მოაწყო გაზეთმა „მაინიტიმ". სასაკის შედეგი — 2:13.23,8 მეხამეა მძლეოსნობის ისტორიაში.

● **სოჭი, 5 თებერვალი.** აქ გაიმართა ნიჩბოსანთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრება. გამარჯვება მოიპოვეს: მოსკოველმა ტ. ალექსანდროვმა („5,5" კლასი), არხანგელსკელმა ი. ანისიმოვმა („დრაკონი"), სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მოსკოველმა ტ. პინეგინმა („ვარსკვლავისებური"), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. შელკოვნიკოვმა („მფრინავი ჰოლანდიელი") და კიეველმა ვ. მანკინმა („ფინის" კლასი)

## ბურუსი ფინიშზე გაიფანტება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის თბილისის ნახევარფინალში 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: გ. მუკნიაშვილი (გორი) — 6,5, მ. არჩვაძე (სამტრედია) — 6, შ. თოთლაძე (გორი), ლ. ზაიდშერი (სოხუმი) — 5,5-5,5, ა. გვენცაძე (ამბროლაური) — 5 (1) და გ. ქანთარია (ქუთაისი) — 5.

ფინალის ორ საგზურს საკმაოდ ბევრი მაძიებელი გამოუჩნდა. იმატა ყოველი შეხვედრის მნიშვნელობამ. ალბათ ამიტომ, არჩვაძისა და მუკნიაშვილის შეხვედრა VII ტურში მეტად დაძაბული იყო. გაიმარჯვა გორელმა მოჭადრაკემ.

მუკნიაშვილმა VIII ტურში თბილისელი გ. ციხელაშვილიც დაამარცხა. მისი წარმატება მოულოდნელი როდია, — გორელი ინჟინერი გამოცდილი მებრძოლია და საქართველოს პირველობაშიც უთამაშია (აქ მან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა).

სასიამოვნო სიურპრიზია არჩვაძის კარგი თამაში. მას ფინალში გასვლის შანსი აქვს. ფინიშზე არჩვაძეს რამდენიმე სერიოზული შეხვედრა ელის, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ამ სიძნელესაც დაძლევს.

ფინიში უფრო ძნელი იქნება ზაიდშერსა და ქანთარიასთვის. ციხელაშვილთან და გვენცაძესთან თამაშზე რომ არაფერი ვთქვათ, ისინი ჯერ მუკნიაშვილს უნდა შეხვდნენ, შემდეგ კი ერთმანეთს.

თ. ნიჟარაშვილი.



ჩვენს დედაქალაქში ახლახან გამართულმა მოსკოვისა და თბილისის უძლიერეს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიც იყო. სტუმრების გუნდში ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები ე. კარპუხინა და ლ. სავინკოვა გამოდიოდნენ. ამ უკანასკნელმა ბრწყინვალე ოსტატობა აჩვენა, მაგრამ I ადგილი თავის თანაქალაქელ კარპუხინას დაუთმო.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. სავინკოვა საგნით ვარჯიშისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# თვენახევრის შემდეგ

ბაქო, 6 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ პირველი ქულა შარშან, 24 დეკემბერს აიღო. მას შემდეგ, თითქმის თვენახევარი გავიდა და აი, გუშინ, აზერბაიჯანელმა კალათბურთელებმა აქტივში ბოლოსდაბოლოს მეორე ქულა ჩაიწერეს. ეს მოხდა კაუნასის „ჟალგირისთან“ განმეორებით მატჩში. მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 90:86.

ტარტუ, 6 თებერვალი. ადგილობრივმა „კალევმა“ თავის მოედანზე მიიღო კიევის „სტროიტელი“. ორივე ტაიმში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს კიდეც შეხვედრა ანგარიშით — 72:58.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 18 | 13 | 5 | 1242—1180 | 13 |
| „დინამო“ (თბილისი) | 18 | 12 | 6 | 1319—1234 | 12 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 18 | 12 | 6 | 1342—1247 | 12 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 17 | 11 | 6 | 1122—1093 | 11 |
| ცსკა | 18 | 11 | 7 | 1117—1064 | 11 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 19 | 11 | 8 | 1271—1223 | 11 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 11 | 11 | 1603—1566 | 11 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 18 | 9 | 9 | 1312—1276 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 16 | 7 | 9 | 1020—1024 | 7 |
| ასკ (რიგა) | 18 | 7 | 11 | 1302—1320 | 7 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 16 | 3 | 13 | 1124—1273 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 20 | 2 | 18 | 1406—1672 | 2 |

# ბაკურიანი მასპინძლობდა სტუდენტებს

**ბაკურიანი**, 5 თებერვალი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). დამთავრდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე დაწინაურებულმა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა და საბოლოო გამარჯვებაც დაისაკუთრა. II ადგილი წილად ხვდათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო III უნივერსიტეტის სპორტსმენებს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის მოთხილამურეებმა პირად შეჯიბრებაშიც დიდ წარმატებას მიაღწიეს. ბოლო ორ დღეს მათ 6 სახეობიდან ხუთში პირველობა მოიპოვეს და მხოლოდ ქალთა გიგანტურ სლალომში წააგეს. აქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრმა მ. თვაურმა ისახელა თავი. მან 430-მეტრიანი ტრასის გავლას 38,3 წამი მოანდომა. ისევე, როგორც სპეციალურ სლალომში, აქაც II და III ადგილებზე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ნ. ფალიანი და ზ. გავა გავიდნენ. ფალიანი თვაურს 1,1 წამით ჩამორჩა, გავამ კი 43,5 წამი აჩვენა.

რბენაში ფავორიტები არ შეცვლილან. ქალებში 5 კილომეტრზე რბენა ისევ ნ. ბალაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) მოიგო, მაგრამ მისი შედეგი (28 წუთი) სპორტსმენის სასახელოდ არაფერს მეტყველებს. ბალაშვილს ვერც დაკმაყოფილება, ვინაიდან ღირსეული მეტოქეები არ ყავდა და ისიც მარტო პირველობისთვის იბრძოდა. ს. მიაჩკოვას (ფიზკულტურის ინსტიტუტი) შედეგია 28.37, თ. ნაკანისა (უნივერსიტეტი) — 30 წუთი და 57 წამი.

ვაჟები 10 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საპრიზო ადგილები ახლაც ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა ი. ნასყიდაშვილმა (46, 26,0), ვ. კორენკოვმა (46.42,0) და ა. გორბაჩოვმა (48.11,0) დაიკავეს. პრიზიორები არც ვაჟთა გიგანტურ სლალომში შეცვლილან, ოღონდ ეს იყო, შ. კოზანაშვილს (ფიზკულტურის ინსტიტუტი) თანაგუნდელი ჯ. ჯიკაევი შეეცილა III ადგილს: ორივემ ერთნაირი შედეგი (46,7 წამი) აჩვენა. მათ III-IV ადგილები გაიყვეს. პირველობა ი. ნასყიდაშვილს დარჩა — 43,0: სპორტის ოსტატი ბ. კახიანი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) II ადგილზე გავიდა — 44,7. ქალთა (3✕3 კმ) და ვაჟთა (4✕5 კმ) ესტაფეტები ფიზკულტურის ინსტიტუტის მოთხილამურეებმა მოიგეს. ვაჟებში II ადგილზე გავიდა სასოფლო-სამეურნეო, III — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ქალებში — უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივები.

ვ. მიქაბერიძე.

## ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ლონდონში, სადაც ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ შეხვდა გათამაშების ლიდერს — „მანჩესტერ იუნაიტედს“. ანგარიში გახსნა ლონდონელმა ჩივერსმა — 1:0, შემდეგ ბესტმა გაქვითა გოლი — 1:1. მეორე ტაიმის დასაწყისში მანჩესტერელმა ბ. ჩარლტონმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ მატჩის უკანასკნელ წამებზე მანვე შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა — 2:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ბერნლი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:1, „ჩელსი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 1:0, „ევერტონი“ — „ლივერპული“ 1:0, „ლესტერ-სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 2:2, „მანჩესტერ-სიტი“ — „არსენალი“ 1:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:0, „შეფილდ უენსდეი“ — „სანდერლენდი“ 0:1, „საუთჰემპტონი“ — „სტოკ-სიტი“ 1:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „კოვენტრი-სიტი“ 0:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „ფულჰემი“ 7:2.

მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში, II ლიგის გუნდმა „კარდიფ-სიტიმ“ გასვლითი მატჩი მოუგო „დერბი კაუნტის“ — 4:3.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ“. | 27 | 56:30 | 41 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 28 | 50:23 | 39 |
| „ლივერპული“ | 27 | 41:20 | 36 |

### შოტლანდია

გასულ კვირას თასის გათამაშებას გამოეთიშა შოტლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი — გლაზგოს „სელტიკი“. შემდეგ ამ გუნდმა ჩემპიონატის XXII ტურში მოუგო „პარტიკ თისტლს“ — 4:1, მაგრამ ლიდერმა — „გლაზგო რეინჯერსმაც“ 2 ქულა მოიპოვა „კლაიდთან“ — 1:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 22 | 57:17 | 41 |
| „სელტიკი“ | 20 | 58:18 | 35 |
| „ჰიბერნიენი“ | 22 | 43:26 | 29 |

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## ქუთაისის საწარმოებში

### შიდასაქარხნო პირველობა

სატრაქტორო ქარხანაში ფიზკულტურა და სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახლახან ჩატარდა შეჯიბრება ჭადრაკში, რომელშიც 22 ტრაქტორმშენებელმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაისაკუთრა ქარხნის მუშამ, ოსტატმა კ. გოგოლაძემ, II ადგილზე იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი ბ. კორძაძე, III — კონსტრუქტორი ჟ. კაბულაშვილი.

### ერთდროული სეანსები ფაბრიკაში

ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის ფიზკულტურის საბჭომ ჭადრაკსა და შაშში ერთდროული თამაშის სეანსების ჩასატარებლად მიიწვია სსრ კავშირის ჩემპიონი სოფლის მოჭადრაკეთა შორის ჯ. ბერაძე და პირველთანრიგოსანი მოშაშე ზ. შალამბერიძე. ყაიმს მიაღწიეს მ. ასამბაძემ, ნ. ლელაძემ, კ. სახელაშვილმა, ს. სვანიძემ, ი. კუჭუხიძემ და შ. ლომიძემ.

### მკერავი ტურისტები

ორდღიანი დასვენების დღეებს კარგად იყენებენ მე-4 სამკერვალო ფაბრიკის ტურისტები. ხშირად ეწყობა შორეული ექსკურსიები, ლაშქრობები, მოგზაურობა.

ამას წინათ ფაბრიკის 40-მდე მკერავმა ფიზკულტურის ინსტრუქტორ კ. ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით მოაწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა ზეკარისა და ნაქერალას უღელტეხილებზე. მათ დაათვალიერეს შაორის წყალსაცავი, ნიკორწმინდის მონასტერი.

შ. ნიჟარაძე,
(ჩვენი კორ.).




# ალექსანდრ როუზი კვლავ მოგზაურობს

14 იანვარს ავსტრალიის ნაპირები დატოვა 60 წლის ინგლისელმა ალექსანდრ როუზმა. იგი მელბურნიდან გაემგზავრა პატარა იახტით, რომელსაც „ლაივლი ლედი“ ჰქვია. როუზს გადაწყვეტილი აქვს იმოგზაუროს დედამიწის გარშემო.

შარშან დედამიწის გარშემო იმოგზაურა როუზის თანამემამულემ ფრენსის ჩიჩესტერმა, რომლის იახტასაც „ჯიპსი მოტი“ ერქვა. მაგრამ ამ ორ მოგზაურობას შორის არსებითი განსხვავებაა. საქმე ის არის, რომ ჩიჩესტერის იახტა გამოცდილმა ინჟინრებმაააგეს ხანგრძლივი მოგზაურობისთვის, როუზის იახტა კი უფრო პატარაა და არც დედამიწის გარშემო საგანგებო მოგზაურობისთვისაა გამიზნული. როუზმა იგი თვითონ იყიდა თავისი დანაზოგებით. ახალ მოგზაურობას კიდევ ერთი თავისებურება აქვს: მარშრუტი გადის ახალი ზელანდიის არა ჩრდილოეთით, არამედ სამხრეთით, სადაც ზღვაში ჯერ ისევ ბობოქრობს ქარიშხალი, წინ კი განთქმული გორნის კონცხია. როუზის იახტა ნავსადგურებში არ შევა. იგი პირველად შეჩერდება ამ მოგზაურობის ბოლო ქალაქში პორტსმუტში, საიდანაც 1967 წლის 15 ივლისს დაიწყო მოგზაურობა მამაცმა ინგლისელმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ალექსანდრ როუზი თავის იახტზე.

ფოტო „სანდი მირორ“-აას-ისა.

**წყალბურთი.** საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის დახურული აუზი (ვაკე). **7-8 თებერვალი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ზამთრის არდადეგების პრიზზე.** შეხვედრების დასაწყისი 10 ს. და 18 ს. **8—10 თებერვალი. საერთაშორისო შეხვედრები თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“, საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „ლერიჩი სპორტის“ მონაწილეობით.** დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 07346